# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 70 | ხუთშაბათი, 28 ნოემბერი 1902 წ. | გაზეთის № 1997.


# სიმართლე

უკანასკნელი რომანი

**ზოლასი**

თარგმანი ფრანგულიდან.

**წიგნი პირველი**

(შემდეგი)

მარკი აღელვებული ყურს უგდებდა ამ ლაპარაკს; ბოლოს ..ი მოითმინა და დაიყვირა:

— სიმონი! მე კარგად ვიცნობ სიმონს. მე და ის ნორმალურ სკოლაში ერთად ვსწავლობდით, სულ ორის წლით არის ჩემზე უფროსი. იმისთანა დამჯდარის ჭკუისა და კეთილის გულის კაცი არ შემხვედრია. ის საწყალი ბავშვი, იმის ძმისწული, ანუ უფრო ცოლის ძმისწული, კათოლიკე, სიმონმა აიყვანა გასაზრდელად და წმ. ძმებს მიაბარა, რაღაც შემცდარის სვინიდისის ქენჯნით. საშინელი უბედურება მოჰსვლია!

მარკი წამოდგა და ათრთოლებულმა დაუმატა:

— მე ეხლავე წავალ იმის სანახავად. მინდა ვიცოდე, მინდა იმასთან ვიყო, რომ მწუხარებაში გავამხნევო...

ქ-ნი დუპარგი ყურს აღარავის უგდებდა. მიაჩქარებდა და მიერეკებოდა ქ-ნს ბერტერის დი ჟენევიევას, რომელნიც შლიაპების დახურვას ძლივს ასწრობდნენ. უკანასკნელი ზარის ხმა შემწყდარი იყო, როდესაც ეს ქალბატონები მიეჩქარებოდნენ ეკლესიისაკენ ჩუმ და მოღრუბლულ ცის ქვეშ. მარკმაც პატარა ლუიზა პელაგიას ჩააბარა და გამოვიდა სახლიდან.

მელბუას პირველ დასაწყისი სკოლა სულ ახალ შენობაში იყო მოთავსებული და ორ პავილიონად იყო გაყოფილი: ერთი ვაჟებისათვის და ერთიც ქალებისათვის; ეს სკოლა მდებარეობდა რ...პუბლიკის მოედანზე, მერის პირდაპირ. ეს უკანასკნელიც ...ი შენობა იყო და იმავე გემოზე აშენებული, როგორც ...ა. დიდი ქუჩა, რომელიც ბომონიდან ჟონვილს მიდიოდა, მოედანს სჭრიდა და ამ ორ შენობის შუა გადიოდა. ამ დიდ ქუჩაზე, რომლის ბოლოსაც ამართული იყო სენ-მარტენის ეკლესია, დიდი მოძრაობა იყო ხოლმე ხალხისა და ეტლებისა. მაგრამ სკოლის უკან მივარდნილი ალაგი იყო, აქა-იქა ბალახიც კი ამოსულიყო ქუჩაზე და ჭაჭანება არ იყო. მოკლე ქუჩა, სადაც ერთის მღვდლის სახლისა და მილჰომების ქაღალდის მაღაზიის მეტი არა იყო-რა, აერთებდა რესპუბლიკის მოედნის თავსა და კაპუცინების მოედანს. ამ ნაირად მარკს ორი-სამი ნაბიჯი უნდა გადაედგა რომ იქ მისულიყო.

ბავშვების სათამაშო ეზო ამ მოკლე ქუჩაზე გამოდიოდა და გაყოფილი იყო ორ პატარა ვიწრო ბაღჩით; ერთი ბახჩა ვაჟების მასწავლებლისათვის იყო, მეორე მასწავლებელ ქალ სათვის. როდესაც სიმონმა პატარა ზეფირინი აიყვანა, მისცა ბინად პატარა ოთახი ვაჟების პავილიონის დაბლა სართულში, ეზოს კუთხეში. ეს ბავშვი სიმონის ცოლის, რახილ ლეჰმანის, ძმისწული იყო და შვილის-შვილი რახილის მამისა, ღარიბ ებრაელ თერძისა, რომელიც იდგა ერთ ჩამყარტლებულ სახლში, უსაწყალეს მილბუას ქუჩაზე. მამა ბავშვისა, დანიელ ლეჰმანი, თხუთმეტის წლით უმცროსი იყო თავის ძმაზე, თერძზე; ხელობით მექანიკოსი იყო. იმან სიყვარულით შეირთო ერთი ობოლი კათოლიკეს ქალი, მარი პრუნიერი, რომელიც გაზრდილი იყო მონოზნებთან და ხელობით მკერვალი იყო. ცოლ-ქმარს ერთმანეთი მეტად უყვარდათ და როდესაც პატარა ზეფირინი დაებადათ, არ მონათლეს, არც არავითარ სარწმუნოებაზე არ დააყენეს, არც ერთს ღმერთს არ მისცეს, რომ ერთმანეთისთვის არ ეწყენინებინათ. მაგრამ ექვსის წლის შემდეგ დანიელი მოკვდა საშინელის სიკვდილით: იგი შეითრია მანქანის ბორბალმა და დაჰკუწა ცოლის წინ, რომელსაც ამ დროს ქრმისათვის ქარხანაში სადილი მიეტანა. მარი, შეშინებული, პატარაობიდანვე სარწმუნოებას დამორჩილებული, ამ უბედურებას აწერდა განგებას, რომელიც ვითომ სჯიდა იმიტომ, რომ ურია შეიყვარა; ამიტომ მონათლა თავისი ვაჟი და შეიყვანა წმ. ძმათა სკოლაში. უბედურება ის იყო, რომ ბავშვი, ალბად რამე ჩამომავლობითის სენის გავლენით, ზურგში იხრებოდა და კუზიანი გამოდიოდა; დედა კი მაინც ღვთის რისხვას აწერდა, იმიტომ რომ საყვარელ ქმრის ხსოვნა გულიდან ვერ ამოეგლიჯა. ამნაირ სულის ტანჯვას და გულის ბრძოლას ზედ ემატებოდა უზომო მუშაობა მკერვალის ქალისა. ვერ აიტანა დედამ და მოჰკვდა სწორედ მაშინ,



და-ძმა.—ქანდაკება კრუასისა

როდესაც თორმეტის წლის პატარა ზეფირინს პირველი ზიარება უნდა მიეღო. აი, ამ დროს აიყვანა ბავშვი სიმონმა, თუმცა თვითონაც ძალიან ღარიბად იყო. სიმონი ასე მოიქცა გულის სიკეთით—იგი სინიდისის პატრონი იყო,—აიყვანა ბავშვი, რომ ეპატრონა, ეჭმია და ესმია; ნება მისცა ზიარებისა და წმ. ძმების სკოლაში სიარულისაც.

.ის ოთახი, რომელშიაც ზეფირინს ეძინა, წინად წვრილმან ავეჯეულობის შესანახად იყო დანიშნული, მაგრამ ეხლა სუფთად იყო იმისთვის გამართული. ამ ოთახს სკოლის უკან მივარდნილს მიყრუებულ მხარეს ერთი დაბალი, თითქმის მიწის პირას, ფანჯარა ჰქონდა. დილა ადრიან სკოლის მასწავლებლის თანაშემწემ მინოტიმ, რომელიც პირველ სართულში იდგა, როდესაც ძირს ჩამოდიოდა, შეამჩნია, რომ ფანჯარა ღაღებული იყო. მინოტს ძალიან უყვარდა თევზაობა და ამისთვის ზაფხულის თავისუფალ დღეებით სარგებლობდა; ამ დღესაც განიერ ჩალის ქუდით, მოკლე კურტკითა და გძელ ჯოხით პატარა მდინარეზე, ფერპილზე მიდიოდა სათევზაოდ. მინოტი გლეხის შვილი იყო და მინდორში ძნელ მუშაობის ასაცდენად ბომონტის ნორმალურ სკოლაში შევიდა. ქერა თმა ძირში ჰქონდა გაკრეჭილი, პტყელ და ნაყვავილარ სახის პატრონი, გარეგნობით უფრო ბრიყვს კაცს ჰგავდა და ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა. თუმცა ნამდვილად ცუდი კაცი არ იყო; უფრო კარგი იყო, ვიდრე ცუდი; ერთი მისწრაფება ჰქონდა—უნდოდა სულით და გულით სამსახურში წინ წასულიყო. ოცდახუთის წლისა იყო და ცოლის შერთვას არ სჩქარობდა; ელოდდა, როგორც ყველაფერში, ბედი და გარემოება რას მოუტანდა.

ამ დილას ზეფირინის ღაღებულ ფანჯრის დანახვაზე ძალიან გაოცდა, თუმცა გასაოცარი არაფერი იყო, რადგან ზეფირინი საზოგადოდ ძალიან ადრე დგებოდა ხოლმე. შეიხედა რა ოთახში, მინოტი გაოცდა, გაქვავებულსავით იდგა და შიშით ამბობდა:

—ღმერთო ჩემო! საწყალი ბავშვი! ღმერთო ჩემო! ეს რა მომხდარა, რა საშინელი უბედურებაა!

გვამი, პერანგისამარა, გაგუდული, სახე გაყვითლებული; ყელზე შეჩვენებულ მკვლელის თითების კვალი ემჩნეოდა. მოსვრილი ნახევრად გახეული და მოღლღეძილი პერანგი, დაკაწრული გამხდარი ფეხები აშკარას ჰყოფდა იმ საზიზღარ მოქმედებას, რომელიც მკვლელს ჩაედინა. საწყალს ბავშვს მარცხენა ხელი უკანიდან თავზე ჰქონდა გადმოგდებული და ამნაირად უფრო აშკარად აჩენდა კუზიანის გამრუდებულ ხერხემალს. მაგრამ ბავშვის თავს, თუმცა სახე ჩაყვითლებული ჰქონდა, სილამაზე მაინც არ დაეკარგნა: ნამდვილ ანგელოზის თავი იყო, ქერა და კულულებიანის თმით, ნაზის ქალურის სახით, ცის ფერის თვალებით, წმინდა სწორე ცხვირით და პატარა ლამაზის ტუჩებითა.

მინოტი თავს-ზარ დაცემული, კიდევ გაჰყვიროდა:

—ღმერთო ჩემო! ოჰ, ღმერთო ჩემო! საშინელებაა! ღმერთო ჩემო! გვიშველეთ, მოდით!

ყვირილზე პირველად მოირბინა მასწავლებელმა ქალმა რუზერმა. რუზერი დილა ადრიან თავის ბაღში ჩასულიყო, რომ ახლად ამოსულ სალათასთვის დაეხედნა. ესე ოცდა თორმეტის წლისა იქნებოდა; მოწითალო თმა ჰქონდა, ზორბა იყო, სახე ჭორფლიანი ჰქონდა, თვალები ნაცრის ფერი, ცხვირი წკვერტიანი, რომელიც იმის უფერულ ტუჩებს დასჩერებოდა და პატრონის გაიძვერობასა და კრიჟანგობას ამხელდა. გონჯი იყო, მაგრამ ლაპარაკობდნენ, რომ სკოლის ინსპექტორს, ლამაზს მორუზენს, ეხრუკებაო. ეს სასარგებლო იქნებოდა სამსახურში დაწინაურებისათვის. ამას გარდა ქალმა გული მოუგო სამრევლო მღვდელს კანდიოს, კაპუცინებს და თვით კეთილ ძმებს; იგი თვითონ წაუძღვებოდა ხოლმე მოწაფეებს საეკლესიო ცერემონიებზე.

რუერმა, როდესაც ეს საშინელი სურათი დაინახა, თავის მხრივაც გააბა წივილ-კივილი.

—ღმერთო კეთილო! შეგვიბრალე! მკვლელობა მომხდარა, ეშმაკის ხელია! ღმერთო, ყოვლად კეთილო!..

მინოტს უნდოდა ფანჯრიდან გადასულიყო, მაგრამ ქალმა შეაყენა:



სართავი.—ნახშირით დახატული სურათი ა. გოგიაშვილისა.

მხიარულ ქაღალდით გაკრული ვიწრო ოთახი მშვიდად და წყნარად გამოიყურებოდა. სტოლზე იდგა ღვთის მშობლის პატარა ქანდაკება, რომელიც სასულიერო შინაარსის წიგნებითა და წმიდანების სურათებით იყო შემორიგებელი. პატარა თეთრი საწოლი არეული და აწეწილი არ იყო, აშკარაა ბავშვი არა წოლილა ზედ. დაბლა იატაკზე წაქცეული სკამი ეგდო, საწოლიდან გადმოსასვლელზე ეგდო საწყალი პატარა ზეფირინის

—არა, არა! ნუ შეხვალთ; უნდა გავიგოთ, უნდა ხალხს დაუძახოთ!

სწორედ იმ დროს, როდესაც გარშემო იხედებოდა, დაინახა მამა ფილიბინი და ძმა ფულგენსი, რომელნიც კაპუცინების მოედნიდან, საცა ისინი ქენევიევმა დაინახა, ვიწრო ქუჩაში გადადიოდნენ. იმათ დანახვაზე ქალმა ისე ააპყრო მაღლა ხელები, თითქო თვით ღმერთი დაინახაო:

— ოჰ, მამაო, ჰოი, ძმაო! მოდით, მალე მოდით, ეშმაკის კვალია აქა!

ორივე ღვთის მსახური მოუახლოვდა, ორივეს შიშის ზარმა დაჰკრა. მამა ფილიბინი, მხნე და დამჯდარი კაცი, ხმა გაკმენდილი იდგა, მაშინ, როდესაც ძმა ფულგენსი, უფრო ცოცხალი ადამიანი, თავს ვერ იმაგრებდა, ამაოდ ფაცი-ფუცობდა და ღელავდა:

— ოჰ, საწყალი ბავშვი! შესაზარი დანაშაულობაა! ასეთი კარგი, მორჩილი ბავშვი, საუკეთესო ჩვენი მოსწავლე, ამასთანავე ღვთის მოსიყვარულე და თაყვანისმცემელი! რაღას ვუყურებთ, უნდა გამოვიკვლიოთ, ასე საქმის დატოვება არ შეიძლება!..

რუზერის ქალმა იმის შეჩერება კი ველარ გაჰბედა, როდესაც ძმა ფულგენსმა გადააბიჯა ფანჯარას; იმას გადაჰყვა მამა ფილიბინიც, რომელმაც, დაინახა რა ბავშვის გვამის გვერდზე დაგდებული რაღაც ბურთის მსგავსად დარგვალებული ქაღალდი, დასწვდა და ხელში აიღო. მასწავლებელი ქალი, შიშით თუ უფრო სიფრთხილით, არ შევიდა ოთახში და ერთს წამს მინოტიც კი შეაჩერა. რაც ღვთის მოსამსახურეებს შეეძლოთ, ის უბრალო მასწავლებლებს არ შეეფერებათ... იმ დროს, როდესაც ძმა ფულგენსი მკვდარის ბავშვის გარშემო დაფაცურობდა და ხმამაღლა გაკვირვებას ეძლეოდა, მამა ფილიბინი დასორსოლებულ ქაღალდს ჰხსნიდა გულმოდგინედ ათვალიერებდა. ზურგი ფანჯრისკენ ჰქონდა შექცეული, ასე რომ გარედან მარტო იმის ნიდაყვების მოძრაობას ამჩნევდნენ და ქაღალდის შრიალიც ცოტათი ისმოდა. ყოველმავე ამან რამდენსამე წუთს გასტანა. როდესაც მინოტიც გადავიდა ფანჯრიდან, დაინახა ფილიბინის ხელში დაჰმუჭნილი გაზეთი და დაჰმუჭნილ-გაქონილი თეთრი ქაღალდი.



წერილმა დააფიქრა. —სურათი გ. ჰეინესი

— რა არის ეგა?— ჰკითხა ფილიბინს.

იეზუიტმა გადახედა მასწავლებლის თანაშემწეს და აუჩქარებლად, ნაზის ხმით უპასუხა:

— ეს გაზეთის, „პატარა ბომონტის“, გუშინდელი, ორ აგვისტოს, ნომერია; მხოლოდ გასაკვირველი ის არის, რომ შიგ გაზეთში სხვა ძალზე გაქაჩული ქაღალდია ზედ წარწერით; აი, ნახეთ!—არ შეიძლებოდა, რომ არ ეჩვენებინა, რადგან მინოტმა უკვე შეამჩნია ქაღალდი, ქაღალდი მღვდელს თავის მსუქან თითებში ამნაირად ეჭირა, რომ მარტო ამ სიტყვების წაკითხვა შეიძლებოდა: „გიყვარდეთ ერთმანეთი.“ ლამაზის ინგლისურის ხელით იყო დაწერილი. ისე გათხვრილი და დახვრეტილი იყო ქაღალდი, რომ მჩვარს უფრო ჰგავდა. მასწავლებლის თანაშემწემ ერთი თვალის გადავლება ლა მოასწრო, რადგან ამ დროს გარედან, ფანჯარაში, კვლავ გაისმა შიშის და გაოცების ყვირილი. გაჰყვიროდა მარკი, თავ-ზარ დაცემული საშინელის სანახაობით.

იმან ყური არ ათხოვა მასწავლებელ ქალის ლაპარაკს, ხელით ჩამოიცალა და გადაალაჯა ფანჯარას, რომ გაეგო, რაში იყო საქმე. იეზუიტების ნახვამ ამ ოთახში, ცოტა არ იყოს, გააკვირვა, მანამ არ გაიგო, რომ მინოტმა და მასწავლებელმა ქალმა მოიწვიეს ისინი.

— ნურას ახლებთ ხელს, ნურას მიეკარებით!—ჰყვიროდა მარკი.— ეხლავე უნდა მერსა და ჟანდარმებს ვაცნობოთ!...

ამ დროს ხალხიც მოგროვდა. ერთმა ყმაწვილმა იკისრა მერთან წასვლა, მანამდინ კი მარკი ოთახს ათვალიერებდა. გვამის წინ დაინახა ძმა ფულგენსი; მეტად აღელვებული, ცრემლ-მორეული, იგი მღელვარებას ვერ იკავებდა. მარკს იმა, რა დაინახა ამნაირი წუხილი. თითონ უარესად აღელდა, როდესაც დაინახა, მკვლელს რა ძალ-მომრეობა ეხმარა და როგორ შეურაცხეყო ბავშვი. ტანში ჟრუანტელმა დაუარა. უეცრად რაღაც აზრმა გაუელვა, მაგრამ მალე გაჰქრა იგი. შემდეგში მოაგონდა ეს შთაბეჭდილება. მარკი მამა ფილიბინსლა ჰხედავდა, რომელსაც დამშვიდებულად თავის დაჭერა იაფად არ უჯდებოდა. ერთ წამს მიტრიალდა, ვითომ იმიტომ, რომ საწოლ ქვეშ შეეხედნა, და მერე ისევ თავის ალაგას დადგა.

— შეხედეთ!—სთქვა იმან და გაიშეირა გაზეთი ძ ქაღალდი,— ესენი აქ იატაკზე ვიპოვნე დასორსოლებული; აშკარაა, მკვლელს ეს ბავშვისთვის ბურთსავით პირში უნდა ჩაეჩარა, რომ არ ეყვირნა. როგორც ეტყობა, ეს ვერ მოუხერხებია, რადგანაც ხელით დაუხჩვია. ჰხედავთ, ამ დორბლით დასველებულ ქაღალდს საწყალ ბავშვის კბილების კვალი ამჩნევია... ეს დასორსოლებული ქაღალდი იქ ეგდო, იმ სტოლის ფეხთან. ესე არ იყო, ბ-ნო მინოტ? თქვენც ხომ დაინახეთ?

— ჰო! დიახ! —დაემოწმა მასწავლებლის თანაშემწე.—მე მაშინვე შევამჩნიე ქაღალდი.

მასწავლებლის თანაშემწე მიუახლოვდა, რომ კიდევ გაესინჯა ხელთნაწერი და გაოცდა, როდესაც შეამჩნია, რომ ქაღალდს ზევიდან კუთხე მოხეული ჰქონდა. წინად, როდესაც ეს ქაღალდი აჩვენა, კუთხე თითქოს მოხეული არ იყო: ვინ იცის, იქნებ ფილიბინის სქელი თითები ეფარა ამ მოხეულ კუთხეს?.. მინოტი ცოტა ხანს დაფიქრდა, მაგრამ მეხსიერებამ უმტყუნა და ეხლა გადაჭრით ველარაფერს იტყოდა.

მარკმა გამოართვა ხელთნაწერი და სინჯვა დაუწყო. შემდეგ თავისი აზრი ხმა მაღლა გამოსთქვა:

— დიაღ, დიაღ, ნაკბენია... ეჰ! ამით ვერას გავიგებთ, რადგან ამნაირ ქაღალდებს ბევრსა ჰყიდიან! მაგრამ, მოიცათ, აქ დაბლა თითქო ხელი მოუწერია ვიღასაცაო, დასაწყისი ასოებიცაა, თუმცა ვერ წაიკითხება!

მამა ფილიბინი აუჩქარებლად მიუახლოვდა.

— ეგრე გგონიათ თქვენა? მე ეგ მელნის ლაქად მივიღე... დორბლისა და კბილების მოჭერისაგან ნახევრად წაშლილია...

— მელნის ლაქა? არა! ეს ნამდვილად პირველი ასოებია სახელისა და გვარისა, მაგრამ წაკითხვა მართლა არ შეიძლება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ მარკმაც შეამჩნია ქაღალდის მოხეული ყური.

— ამ ქაღალდს ზევით კუთხე აკლია. უეჭველია კბილით იქნება მოკვნეტილი... ნაგლეჯი არ გიპოვნიათ?

მამა ფილიბინმა უპასუხა, არ მიძებნიაო, ხელ-ახლად გაშალა გაზეთის ნომერი და გულმოდგინედ დაუწყო თვალიერება; ამ დროს მინოტიც დაკუზული იატაკს ათვალიერებდა. ვერაფერი ვერ იპოვნეს. ამ გარემოებისათვის არც დიდი მნიშვნელობა მიუციათ. მარკი დაეთანხმა მღვდლებს, რომ მკვლელს, რაკი ბავშვისათვის პირში ბურთის ჩაჩრა ვერ მოუხერხებია, რათა არ ეყვირნა, შიშით ყელში წაუჭერია ხელები და დაუხჩვია. გაუგებარი და უცნაური ამ შემთხვევაში ეს დაწერილი ქაღალდი იყო გაზეთის ფურცელი ჯიბეში ვის არ ექნებოდა,—მაგრამ ეს ხელთნაწერი საიდან გაჩნდა, როგორ იყო ამ გაზეთთან? ბევრი მოსაზრება შეიძლებოდა კაცს წარმოეთქვა ამიტომ სასამართლოს დიდი შრომა მოელის, რომ სიმართლე გამოარკვიოს და საიდუმლოებით მოცული საქმე გამოაშკარაოს.

მარკმა იგრძნო ის ქარიშხალი, რომელსაც ღამის წყვდიადში წარეტაცნა საიდუმლოება ამ საშინელის დრამისა; თითქოს უეცრივ ყოველისფერს ღამის სიბნელე გადაჰფარებოდა.—ჰა!—ჩურჩულებდა თავის-თავად, — ამის ჩამდენი რაღაც შესაზარი მხეცია, ბნელ ქვესკნელიდან ამოსულიო!

ხალხი თან-და-თან გროვდებოდა ფანჯარასთან. მოვიდნენ მილჰომის ქალბატონებიც, ქაღალდის მაღაზიის პატრონნი. ერთი ქალი, ალექსანდრა—მოსული, ქერა და კეთილის გამომეტყველებისა იყო, მეორე, ედუარდა, მოსული იყო, მაგრამ შავგვრემანი და მკაცრის შეხედულობისა. ამ ამბავმა ორივე ძალიან აალელვა, უფრო იმიტომ, რომ უკანასკნელის შვილიც, ვიქტორი, ძმების სკოლაში დაიარებოდა, მეორეს შვილი კი, სებასტიანი, სიმონის სკოლაში დადიოდა. რუზერის ქალი, ვიდრე მერი და ჟანდარმები მოვიდოდნენ, ყველას დაწვრილებით უამბობდა როგორ და რა ნაირად მოხდა საქმე.

— გუშინ საღამოს ბარძიმ-ფეშხუმის სამთხვევად კაპუცინების ეკლესიაში წავედი. რანაირი ღმობიერი ცერემონია იყო! საწყალი ზეფირინიც იქ იყო თავის ამხანაგთან ერთად, რომელთაც პირველი ზიარება მიიღეს. იმის მაყურებელნი სასოებაში მოვდიოდით; პატარა ანგელოზის სახე ჰქონდა...

— ჩემი შვილი ვიქტორი არ წასულა, რადგან ჯერ ცხრა წლისაც არ არის,—სთქვა ქ-ნმა ედუარდმა.—მაგრამ ერთი ეს მითხარით, ზეფირინი მარტო წავიდა ეკლესიაში? იქიდან ვინ წამოიყვანა?

— აქედან ეკლესიამდის ორი ნაბიჯია,—აუხსნა მასწავლებელმა ქალმა,— ძმას გორგიას დავალებული ჰქონდა მიეცილებინა ის ბავშვები, რომელთაც მშობლები თან არ დასდევდნენ და რომელნიც ეკლესიაზე მოშორებულნი იყვნენ. ესეც რომ არ ყოფილიყო, სიმონის ცოლმა მთხოვა, ზეფირინისთვის ყური მეგდო და ამიტომ თვითონ მე მოვიყვანე სახლში. ძალიან მხიარულად დაბრუნდა. ფანჯარასთან რომ მივიდა, ოდნავ მიაწვა და ისიც გაიღო. მერე სიცილით და თამაშობით გადაიხედა ფანჯარაში, თან ისიც სთქვა, ასე უფრო მოკლე გზაო. ერთ წამს კიდევ ვუცდიდი, სანამ სანთელს აანთებდა..

მარკიც მიუახლოვდა და გულმოდგინედ ყურს უგდებდა.

— რომელი საათი იქნებოდა მაშინ?—ჰკითხა მარკმა.

— სწორედ ათი საათი იყო!—უპასუხა რუზერის ქალმა— ამ დროს სენ-მარტენის ეკლესიის საათმა დაჰკრა.

ყველას ჟრუანტელმა დაუარა ტანში. წარმოიდგინეს მხიარული ბავშვი, რომელიც კუნტრუშით შევარდა იმ ოთახში, სადაც ასეთი საშინელი სიკვდილი მოელოდა. ქ-ნმა ალექსანდრამ სიბრალულით წარმოსთქვა თავისი აზრი:

— გაუბრთხილებლობაა ბავშვის ესე მარტო, ამ მივარდნილ ოთახში დატოვება! ღამე ფანჯრის დარაბებისთვის ურდული მაინც უნდა გაეყარათ.

— თვითონ ხურავდა ხოლმე ყოველთვის,—უპასუხა რუზერის ქალმა.

— გუშინ საღამოს, ვიდრე თქვენ აქ იყავით, მიხურა თუ არა?—ხელახლა დაეკითხა მარკი.

— არა, არ დამინახავს. ბავშვმა სანთელი აანთო სტოლზე, ხატებისა და სურათების დალაგება დაიწყო. როდესაც წამოვედი, ფანჯარა ჯერ კიდევ ღია იყო.

ეხლა მინოტიც ჩაერია ლაპარაკში:

— ეს ფანჯარა ბატონ სიმონს ძალიან აწუხებდა და ჰფიქრობდა კიდეც, ბავშვისთვის სხვა ოთახი მიეცა. ყოველთვის ეუბნებოდა ბავშვს, ფანჯარა კარგა მიხურეო. მგონი ბავშვი არ უჯერებდა.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.


## მიიღება ხელის მოწერა 1903 წლისათვის

# „მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

### სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

**ყოველ თვიური ჟურნალი**

## „მოამბე“

(წელიწადი მეათე)

**ფასი ჟურნალისა:**

| კავკასიასა და რუსეთში: | | საზღვარ გარედ: | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით | 10 მ. | ერთის წლით | 13 მ. |
| ექვსის თვით | 6 „ | ექვსის თვით | 7 „ |
| სამის თვით | 3 „ | სამის თვით | 5 „ |

**ყოველ დღიური გაზეთი**

## „ცნობის ფურცელი“

ორის სურათებიანის დამატებით

(წელიწადი მერვე)

**ფასი გაზეთისა გაგზავნით:**

| კავკასიასა და რუსეთში: | | საზღვარ-გარედ: | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით | 6 მ. | ერთის წლით | 9 მ. |
| ექვსის თვით | 4 „ | ექვსის თვით | 5 „ |
| ერთის თვით | 75 კ. | ერთის თვით | 90 |

ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ სურათებიანის დამატებით უფასოდ გაეგზავნებათ, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელისმოწერისათანავე უნდა იქნეს შემოტანილი.

**წლიური ფასის განაწილება ორივე გამოცემაზე:**

პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მ. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე 3 მ., 1-ლ აგვისტომდე—3 მან.

ცალკე „ცნობის ფურცელზე“: ხელის მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენი 1-ლ მარტამდე.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и “Цнобисъ-Пурцели“.